



სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

31 დეკემბერი, 2025 წელი

ბრძანება № 01-10/109

ბსუ-ს შიდა აუდიტის 2026 წლის გეგმის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-24-ე მუხლების, ბსუს წესდების მე-15 მუხლის, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 30 დეკემბრის №07-01/62 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ს მთავარი შიდა აუდიტორის სამსახურში მიღების წესის“, ბსუ-ს მთავარი შიდა აუდიტორის სამსახურებრივი ბარათის (№818412, 04/07/2025), „ბსუ-ს შიდა აუდიტის 3-წლიანი სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 11 ივლისის №07-01/19 გადაწყვეტილებისა და ბსუ-ს მთავარი შიდა აუდიტორის 2025 წლის 29 დეკემბრის №1853557 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს ბსუ-ს შიდა აუდიტის 2026 წლის გეგმა წინამდებარე ბრძანების №1 დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

მერაბ დიასამიძე

„ბსუ-ს შიდა აუდიტის 2026 წლის გეგმის დამტკიცების თაობაზე“

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის დეკემბრის 31 N 01-10/109 ბრძანების

დანართი N1

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შიდა აუდიტის წლიური გეგმა (2026 წ.)

(მოიცავს პერიოდს 2026 წლის 01 იანვრიდან 2026 წლის ბოლომდე)

1. შესავალი

1.1 წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ბსუ ან უნივერსიტეტი) შიდა აუდიტის 2026 წლის წლიურ გეგმას, რომელიც მოიცავს პერიოდს 2026 წლის 01 იანვრიდან 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით და შედგენილია „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 11 ივლისის N07-01/19 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ბსუ-ს შიდა აუდიტის 2025-2027 წლების სტრატეგიული გეგმის საფუძველზე. ბსუ არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და მისი უფლებამოსილებიდან გამომდინარე, განკარგავს საჯარო ფინანსებს, შესაბამისად, აუცილებელია, რომ ეს პროცესი გამჭვირვალედ, ეკონომიურად, ეფექტურად და პროდუქტიულად განხორციელდეს. ვინაიდან საჯარო დაწესებულება განსხვავდება კერძო სამართლის იურიდიული პირისაგან მისი თითოეული ღონისძიება უნდა გაანალიზდეს და არსებული ალტერნატივებიდან შეირჩეს საუკეთესო, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხს, დროულობას, თანასწორობას და მოქალაქეების მოთხოვნებთან შესაბამისობას. ამისათვის, საჭიროა არსებობდეს რისკების მართვის, სტრატეგიული დაგეგმვის, კომუნიკაციის, ადამიანური რესურსების და სხვა მექანიზმები, რომლებიც მთლიანობაში განაპირობებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ეფექტურ საქმიანობას. ამ ყოველივეს მოიცავს შიდა კონტროლის სისტემა (შემდგომში - სისტემა), უფრო კონკრეტულად, ფინანსური მართვა და კონტროლი, რომელიც არ გულისხმობს მხოლოდ ფინანსების მართვას ან კონტროლს და წარმოადგენს წესებისა და ნორმატივების ერთობლიობას, კონტროლის მექანიზმებს, სათანადო ინფორმაციის გაცვლას, რისკების მართვას და ანგარიშგებას. სისტემის დანერგვა ემსახურება მართლზომიერი გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესებას. ამასთან, სწორედ ეს სისტემა წარმოადგენს შიდა აუდიტის სუბიექტების დაკვირვებისა და ანგარიშგების საგანს. მისი მიზანია განსაზღვროს დაგეგმილი აუდიტორული შემოწმებების თემატიკა, მიმართულებები და ტიპები, მოცემული პერიოდისთვის.

1.2 შიდა აუდიტის წლიური გეგმა ეფუძნება ორ ძირითად ფაქტორს: აუდიტის გარემოში რისკების შეფასების შედეგებს (აუდიტის გარემოს თითოეულ ობიექტთან დაკავშირებით არსებული/მოპოვებული ინფორმაციის ანალიზს, ურთიერთშეჯერებას და შეფასებას) და შიდა აუდიტის სუბიექტის განკარგულებაში არსებულ რესურსებს. შიდა აუდიტის სუბიექტის მიზანია მეტი ყურადღება მიექცეს რისკიან სფეროებს, იმ რესურსების გამოყენებით, რაც შიდა აუდიტის სუბიექტის განკარგულებაშია.

2. შიდა აუდიტის მისია და ხედვა

2.1 შიდა აუდიტის მისიაა უნივერსიტეტის მართვის, რისკის მართვისა და კონტროლის პროცესების სისტემატური და დისციპლინიზებული შეფასების გზით, დამოუკიდებელი და ობიექტური მარწმუნებელი და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, რაც დაეხმარება ბსუ-ს დასახული მიზნების მიღწევასა და საქმიანობის გაუმჯობესებაში.

2.2 შიდა აუდიტის ხედვა: იყოს უნივერსიტეტის რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელისა სხვა მართვის ორგანოებისა და სტრუქტურული ერთეულებისათვის სანდო და სტრატეგიული პარტნიორი, რომელიც ეხმარება ორგანიზაციას გაუმკლავდეს გამოწვევებს, გააუმჯობესოს მმართველობითი პროცესები და განამტკიცოს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების კულტურა.

3. 2026 წლის სამოქმედო გეგმა

3.1 ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 11 ივლისის N07-01/18 გადაწყვეტილებით დამტკიცებული შიდა აუდიტის 2025-2027 წლების სტრატეგიული გეგმის თანახმად, 2026 წლისათვის საორიენტაციო აუდიტორული შემდეგი თემატიკა განისაზღვრა:

პერიოდი	სტრატეგიული ფოკუსი, ტიპი	საორიენტაციო აუდიტორული თემატიკა
II წელი (01.01.2026 – 31.12.2026)	აკადემიური, კვლევითი და ოპერაციული პროცესების აუდიტი (შესაბამისობის/ფინანსური/ეფექტიანობის)	- სამეცნიერო-კვლევითი გრანტების მართვის აუდიტი: ფინანსური და ადმინისტრაციული ასპექტები. - უნივერსიტეტის ქონების მართვის ეფექტიანობის აუდიტი.

ბსუ-ს შიდა აუდიტის 2025-2027 წლების სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, 2026 წლის შიდა აუდიტის საქმიანობა ფოკუსირებული იქნება შემდეგ შიდა აუდიტორულ შემოწმებებზე:

შიდა აუდიტის ობიექტი N1:	ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახური
აუდიტის სახე:	შესაბამისობის აუდიტი
აუდიტორული შემოწმების მიზნები და მოქმედების სფერო:	სამეცნიერო-კვლევითი გრანტების მართვის აუდიტი: ფინანსური და ადმინისტრაციული ასპექტები. საგრანტო სახსრების მართვის, კვლევითი პროექტების მონიტორინგისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მექანიზმების აუდიტი. საქართველოს კანონმდებლობასთან და ბსუ-ს

	რეგულაციებთან შესაბამისობის შეფასება, არსებული რისკების გამოვლენა და მათი ეფექტური მართვის მიზნით სათანადო რეკომენდაციების შემუშავება.
აუდიტორული შემოწმების (შესამოწმებელი/საანგარიშო) პერიოდი:	01.01.2025 - 31.12.2025
აუდიტის ჩატარების ვადა:	01.02.2026- 31.07.2026
შიდა აუდიტის სუბიექტის რესურსების გადანაწილება:	ბსუ-ს მთავარი შიდა აუდიტორი

შიდა აუდიტის ობიექტი N2:	ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი
აუდიტის სახე:	შესაბამისობის აუდიტი
აუდიტორული შემოწმების მიზნები და მოქმედების სფერო:	უნივერსიტეტის ქონების მართვის აუდიტი. ქონების მართვის შემოწმება. საქართველოს კანონმდებლობასთან და ბსუ-ს რეგულაციებთან შესაბამისობის შეფასება, არსებული რისკების გამოვლენა და მათი აღმოფხვრის მიზნით სათანადო რეკომენდაციების შემუშავება.
აუდიტორული შემოწმების (შესამოწმებელი/საანგარიშო) პერიოდი:	01.01.2025 - 31.12.2025
აუდიტის ჩატარების ვადა:	01.08.2026- 31.12.2026
შიდა აუდიტის სუბიექტის რესურსების გადანაწილება:	ბსუ-ს მთავარი შიდა აუდიტორი

4. საკონსულტაციო საქმიანობა

4.1 სამოქმედო (საანგარიშო) წლის განმავლობაში ბსუ-ს მთავარი შიდა აუდიტორის საქმიანობამ, შესაძლოა მოიცვას საკონსულტაციო მომსახურებაც (უნივერსიტეტის მართვის ორგანოების, უმაღლესი და საოპერაციო მენეჯმენტისათვის რჩევის, რეკომენდაციის მიცემასთან ან მხარდაჭერასთან დაკავშირებული სხვა მსგავსი მომსახურებები), რომელთა შინაარსი და მასშტაბი თანხმდება მომსახურების მიმღებთან, და რომელიც მიზნად ისახავს დაწესებულების მმართველობის, ზედამხედველობის, რისკის მართვისა და კონტროლის პროცესების გაუმჯობესების ხელშეწყობას, ბსუ-ს მთავარი შიდა აუდიტორის მენეჯერული პასუხისმგებლობის აღების გარეშე (საკონსულტაციო მომსახურების მაგალითებია: რჩევისა და რეკომენდაციის მიცემა, მოსაზრების წარდგენა, ფასილიტაცია (ხელშეწყობა), თანამშრომელთა სწავლება და ა.შ.).

5. გეგმის მოქნილობა

5.1 წლიური გეგმა ითვალისწინებს მოქნილობას. წინამდებარე წლიური გეგმის კორექტირება შესაძლებელია უნივერსიტეტის მიზნების მიღწევის ხელშემშლელი ფაქტორების - ახლად გამოვლენილი მაღალი რისკების შეფასებისა და მათი პერიოდული გადასინჯვის საფუძველზე.

6. ანგარიშგება

6.1 თითოეული შიდა აუდიტორული შემოწმების დასრულების შემდეგ, საბოლოო ანგარიში წარედგინება ბსუ-ს რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს (შიდა აუდიტის ობიექტს). 2026 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობა, გამოვლენილი მიგნებები და გაცემული რეკომენდაციები აისახება შიდა აუდიტის წლიურ ანგარიშში, რომელიც წარედგინება ბსუ-ს რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და წარმომადგენლობით საბჭოს.